

როდესაც გადაწყდა, რომ შეგვეძლო საფრანგეთში წასვლა და ნანტის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, შეგვეშინდა, რადგან არ ვიცოდით, თუ როგორ გამოგმივიდოდა დამოუკიდებლად ცხოვრება. თუმცა, რასაკვირველია, ვაცნობიერებდით, რომ მსგავსი შანსი ბევრს არ ეძლევა ცხოვრებაში.

საუნივერსიტეტო საცხოვრებლის ოთახი თავდაპირველად საოცრად პატარად მოგვეჩვენა, მაგრამ ცოტა ხანში ისე შევეჩვიეთ და შეგვიყვარდა მისი გარემო, რომ ვფიქრობდით, რომ უზამაზარი სივრცე გვქონდა.

უნივერსიტეტში დავდიოდით ლექციებზე, გავდიოდით პროდუქტების საყიდლად და საღამოს სასეირნოდ. ყველა დღე ერთმანეთს ჰგავდა, თუმცა, ამავე დროს, ყველა განსხვავებული და ერთმანეთზე უკეთესი იყო. ახალი ხალხის და ადგილების აღმოჩენა იძენდა სისტემატიურ ხასიათს.

თბილისში მიჩვეულები ვიყავით ლექტორების მაქსიმალურ თანადგომას და დახმარებას, რასაც ვერ ვიტყვით საფრანგეთზე. თავიდან გვიკვირდა, თუ რატომ არ გვეუბნებოდა ლექციის ბოლოს ლექტორი რა უნდა გვესწავლა, რატომ არ გვიზუსტებდა ერთი და იგივე თემას 8 ჯერ და ა.შ. მაგრამ ნელ-ნელა მივხვდით, რომ ეს ყველაფერი იყო ჩვენი გასაკეთებელი საქმე და დადგა დრო, რომ ფრანგი სტუდენტებივით გვეცხოვრა. სწავლის პროცესი იყო ძალიან საინტერესო, საგნები იყო ძირითადად საერთაშორისო სამართლის სფეროდან და ლექტორები კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდნენ აღნიშნულ პროცესს.

საფრანგეთის აღმოჩენამდე წარმოგვედგინა, რომ ფრანგი ერი საკმაოდ ცივი ბუნებისაა, თუმცა ყველა იყო ძალიან თბილი და ყველა ცდილობდა ჩვენს დახმარებას - უბრალო გამვლელებიდან დაწყებული ლექტორებით დამთავრებული, რომლებსაც თავიდან ძალიან გვეშინოდა, მაგრამ ნელ-ნელა შიში ჩანაცვალა ბევრმა დადებითმა გრძნობამ.

ნანტში გატარებული ხუთი თვე იყო საუკეთესო ეტაპი ჩვენს ცხოვრებაში. გავიცანით არაჩვეულებრივი ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მოვინახულეთ ბევრი საინტერესო ადგილი, ცხოვრებას შევმატეთ მნიშვნელოვანი ადამიანები, მივიღეთ დამოუკიდებლად ცხოვრების დიდი გამოცდილება და რაც მთავარია, წარმატებით დავამთავრეთ სასწავლო წელი. ნანტი არის ადგილი, სადაც ყოველთვის მოგვინდება დაბრუნება!

მარიამ მუჯირიშვილი

ანა ბასილაური

When it was settled that we had to go to France and continue our studies at Nantes State University, we were a bit afraid as we did not know how we would manage to live independently. Though, we understood that not many students are given such an opportunity.

At first, our living-room seemed very small, but later it became so nice that we thought we had immense space.

We attended lectures at the University; in the evenings we used to go for a walk. Every day was the same but at the same time different. We systematically got acquainted with new people and found out new places.

In Tbilisi. We were accustomed to great support and assistance from lecturers, what cannot be said about France. At first we were surprised, why the lecturer did not tell us what we had to learn, why he did not specify one and the same topic 8 times, etc. But later we realized that we had to do everything this and that it was already high time for us to live like French students. The learning process was very interesting. The courses were mainly from the sphere of international law and the lecturers made this process even more interesting.

Earlier we thought that French people were rather cold though, everybody was very kind and wholehearted and tried to help us. At first we were afraid of our lecturers but gradually fear was replaced by lots of positive feelings.

The time spent in Nantes was the best period in our live. We got acquainted with excellent people from different countries, visited a lot of interesting places, gained great experience of living independently and successfully completed the academic year.

Nantes is a place where we'd always like to return!

Mariam Mujirishvili

Anan Basilauri

